

საქართველოს კანონი

„სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N9, 26.04.2002, მუხ. 43) მე-

მე-7 მუხლს მე-7 პუნქტისა და მე-8 პუნქტის „გ“, „ე“, „ფ“, „ჯ“, „ს“, „ტ“, „უ“ ქვეპუნქტი ჩამოეწიოს/შემდეგი რედაქციით:

ა) ახალი ორიგინალური სამკურნალო საშუალების, გენურიკული და კვლავ აღმოჩენილი სამკურნალო საშუალების, სისხლის პრეპარატის, იმუნობიოლოგიური პრეპარატის რეგისტრაცია და/ან ხელახალი რეგისტრაცია - 3000 ლარი;

ბ) რეგისტრირებული ახალი ორიგინალური სამკურნალო საშუალების, გენურიკული და კვლავ აღმოჩენილი სამკურნალო საშუალების, სისხლის პრეპარატის, იმუნობიოლოგიური პრეპარატის ფორმის რეგისტრაცია 1500 ლარი, დოზის რეგისტრაცია - 500 ლარი;

ე) კონტრაცეპტიული სამკურნალო საშუალების რეგისტრაცია და/ან ხელახალი რეგისტრაცია - 400 ლარი

ფ) კონტრაცეპტიული სამკურნალო საშუალების რეგისტრაცია და/ან ხელახალი რეგისტრაცია - 100 ლარი;

ზ) დიაგნოსტიკური და პათოლოგია/ცეკვტული საშუალების რეგისტრაცია და/ან ხელახალი რეგისტრაცია - 600 ლარი;

თ) კონტრაცეპტიული მექანიკური საშუალების რეგისტრაცია ან/და ხელახალი რეგისტრაცია - 500 ლარი;

კ) ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატის რეგისტრაცია და/ან ხელახალი რეგისტრაცია - 600 ლარი;

ს) ვეტერინარული პრეპარატის რეგისტრაცია და/ან ხელახალი რეგისტრაცია - 1000 ლარი;

ტ) ვეტერინარული პრეპარატის ფორმის ან/და დოზის რეგისტრაცია - 500 ლარი;

უ) სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა - 200 ლარი.

მე-7 მუხლს მე-7 პუნქტიდან ამოღებულ იქნას „გ“, „დ“, „ი“;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.